

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში

მოგესალმებით,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 54-ე მუხლის

პირველი ნაწილის ,,ბ.ა“ პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშს განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებით.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში აქტიურად ხორციელდება მნიშვნელოვანი პროექტები, რომლებიც ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას, სოციალური და ჯანდაცვის სერვისების გაუმჯობესებას, ასევე განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარებას ისახავს მიზნად.

წარმოგიდგენთ 2024 წლის მანძილზე შესრულებული სამუშაოების შესახებ ანგარიშს.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მოცულობა შეადგენდა 31 615 350 ლარს. აღნიშნული ფინანსური რესურსი მიზნობრივად ხმარდებოდა სხვადასხვა მუნიციპალური პროგრამების, საბიუჯეტო სფეროების და დარგების, ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას.

პრიორიტეტების მიხედვით მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულება შემდეგია:

- **ინფრასტრუქტურის განვითარება** - წლიური გეგმა შეადგენდა 16 806 274 ლარს, ხარჯი16 371 671 ლარი - შესრულება 97 %.
- **დასუფთავება და გარემოს დაცვა** - წლიური გეგმა შეადგენდა 1 398 390 ლარს, ხარჯი 1 397 625 ლარი - შესრულება 100 %.
- **განათლება** - წლიური გეგმა 2 341 244 ლარი, ხარჯი კი 2 326 877 ლარი- შესრულება 99 %.
- **სპორტის სფეროს განვითარება** - წლიური გეგმა 1665 541 ლარი, ხარჯი 1627 163 ლარი - შესრულება 98 %.
- **კულტურის სფეროს განვითარება** - წლიური გეგმა წარმოადგენდა 2 442 421 ლარს, ხარჯი კი 2 409 876 ლარს -შესრულება 99 %.
- **ჯანმრთელობის დაცვა** - წლიური გეგმა 493 809 ლარი, ხარჯი 434 607 ლარი-შესრულება 88 %.
- **სოციალური დაცვა** - წლიური გეგმა 749 310 ლარი, ხარჯი 678 042 ლარი- შესრულებულია 90 %-ით.

ყველა პროექტი და პროგრამა, რომელიც 2024 წლისთვის იყო დაგეგმილი შეფერხებების გარეშე განხორციელდა

მუნიციპალიტეტის 2024 წლის **სახელმწიფო შესყიდვების გეგმა** განისაზღვრა 18 003 670 ლარით. გაფორმდა შემდეგი ხელშეკრულებები:

1. აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის მეშვეობით სულ გაფორმებულია 123 ხელშეკრულება, საერთო სახელშეკრულებო თანხით 16 105 306 ლარი;

2. გამარტივებული შესყიდვის საფუძვლით სულ გაფორმებულია 197 ხელშეკრულება საერთო თანხით 1 395 566 ლარი, მათ შორის 68 ხელშეკრულება გაფორმდა სოფლის მხარდაჭრის პროგრამით განხორციელებულ პროექტებზე;

3. კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში სულ გაფორმებულია 23 ხელშეკრულება საერთო თანხით 502 827 ლარი;

ინფრასტრუქტურა

ინფრასტრუქტურის განვითარება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია, 2024 წელს ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნა 13 522 254 ლარი და განხორციელდა 160 პროექტი.

განხორციელებული პროექტები ითვალისწინებდა სოფლებში საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, წყალსადენი სისტემების მოწესრიგებას, სანიაღვრე არხების მოწყობას,

საგანმანათლებლო და სპორტული დაწესებულებების რეაბილიტაციას და მუნიციპალიტეტისთვის სხვა მნიშვნელოვანი პრიორიტეტების განხორციელებას.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, 2024 წელს მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 30 პროექტი საერთო ღირებულებით 7 599 480 ლარი.

1.ამბროლაურში მდინარე კრიხულას სანაპიროზე სოციალურ- ეკონომიკური და კულტურული როლის გაზრდის მიზნით მრავალფუნქციური ცენტრის მშენებლობა;
2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიმშში ჭიჭინაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია;
3. სოფელ სადმელში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები მესამე რიგი;
4. ქ. ამბროლაურში დავით აღვაშენებლის და კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩებზე ღობეების მოწყობის სამუშაოები;
5. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდაში წყალმომარაგების სისტემის არსებული სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია;
6. სოფელ ღვიოარაში გზის რეაბილიტაციის პირველი რიგი;
7. სოფელ ზნაკვაში გზის რეაბილიტაციის პირველი რიგი;
8. სოფელ ზედა ღვარდიის სასოფლო გზების რეაბილიტაციის პირველი რიგი;
9. სოფელ ნიკორწმინდაში დოხნაძეების უბანში სასოფლო გზის მოასფალტების სამუშაოების მეორე რიგი;
10. სოფელ თხმორის სასოფლო გზის მდინარე შარეულასთან ქანობიანი მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოები;
11. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კვაცხუთში ეკლესიასა და სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;
12. სოფელ ბოსტანაში საელიოს სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;
13. სოფელ ბოსტანაში მე-6 ქუჩის რეაბილიტაცია;

14. ქ. ამბროლაურში ბარათაშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხისა და გზის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები;
15. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ჭრებალოს წესიგორას დასახლების საუბნო გზების რეაბილიტაცია;
16. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე ტოლის სკოლის უბნის გზის რეაბილიტაცია;
17. სოფელ წესთან ბარაკონის ეკლესიის მიმდებარედ ქვაფენილია მოწყობის სამუშაოები;
18. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის საუბნო გზიების რეაბილიტაცია;
19. ქ. ამბროლაურში ვაჟა-ფშაველას ქუჩის ჩიხის (მოედნე4ბთან მისასვლელი გზის) რეაბილიტაციის სამუშაოები;
20. ქ. ამბროლაურში გოგებაშვილის ქუჩაზე ღობეების მოწყობის სამუშაოები;
21. ქ. ამბროლაურში ჭავჭავაძის ქუჩაზე, სოფელ იწაში და სოფელ კრიხში ნაღაზიასთან სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები;
22. ქ. ამბროლაურში მახალდიოანის ქუჩის (სანაპირო) და ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის დამაკავშირებელი კიბეების მოწყობა;
23. სოფელ პირველ ტოლაში, სოფელ ხვანჭკარაში და ქ. ამბროლაურში ბრატისლავა რაჭის ქუჩაზე სტადიონების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
24. სოფელ ჭრებალოში ბუნებრივსაფარიანი სტადიონის მეორე რიგის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
25. ქ. ამბროლაურში საჭიდაო დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
26. ქ. ამბროლაურში თამარ მეფისა და აღმაშენებლის ქუჩებზე კანალიზაციის ქსელის და სანიაღვრე არხის მოწყობის და სოფელ კვაცხუთში ე.წ. მეწყერას დასახლებაში კანალიზაციის ქსელის მოწყობის სამუშაოები;
27.ქ. ამბროლაურში თამარ მეფის ქუჩაზე ქვანას წყაროს მიმდებარედ რკ/ბეტონის კედლების მოწყობისა და გზის რეაბილიტაციის სამუშაოე3ბი;
28. სოფლების: საკეცია-ჯვარისა-ქედისუბანი-ხონჭიორის დამაკავშირებელი სასოფლო გზის რეაბილიტაციის, სოფელ გორში და სოფელ ძირაგეულში საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები;
29. სოფელ დიდ ჩორჯოში სასოფლო გზის რეაბილიტაცია;
30. სოფელ აბარის ადგილობრივი დანიშნულების გზის რეაბილიტაცია პირველი რიგი.

სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში შესრულდა 734 000 ლარის ღირებულების 68

პროექტი. 10 სოფელში მოწესრიგდა განათება. 3 სოფელში-სპორტული ინფრასტრუქტურა. 4 სოფელი-სასაფლაოს შემოღობვა. მოსაცდელი -2 სოფელი. 16 სოფელში -სასმელი წყალი. 2 სოფელში - მოეწყო საბავშვო სკვერი. სანიაღვრე არხები-9 სოფელში. საუბნო გზა -22 სოფელში. ხიდბოგირი-1 სოფელში.

ყველა პროექტი შესრულდა 100 %-ით .

რაც შეეხება ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელ პროექტებს, რომელიც შეადგენს 1 152 257 ლარის ღირებულების სამუშაოებს, ამ ეტაპზე 46 პროექტიდან დასრულებულია 42 პროექტი. 4 პროექტი კლიმატური პირობების გამო გადავადებულია და დასრულდება 2025 წელს

სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები: გამოყოფილი თანხებით დაფინანსებული იქნა 17 ობიექტი . სულ 2024 წელს გამოყოფილი იქნა 2 500 000 ლარი. თანხები მიმართული იქნა შემდეგ ობიექტებზე

1. მდინარე რიცეულაზე ნაპირსამაგრის მოწყობა;
2. ქ. ამბროლაურში აღმაშენებლისა და გოგებაშვილის ქუჩებზე საყრდენი კედლების მოწყობა;
3. სოფელ ხვანჭკარაში ჭარბაძეების უბანში ნაპირსამაგრი;
4. ქ. ამბროლაურში ჭიჭინაძის ქუჩაზე ნაპირსამაგრი;
5. სოფელ ღვიარაში მდინარე ღვიარულაზე ნაპირსამაგრი;
6. სოფელ სადმელში ენუქიძეების უბანში სანიაღვრე არხი
7. ქ. ამბროლაურში ბრატისლავა-რაჭის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა;
8. სოფელ წესში მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირის სარეგულაციო სამუშაოები;
9. სოფელ ხოტევში მდინარე ხოტეურაზე ნაპირსამაგრი;
10. სოფელ კლდისუბანში მდინარე რიონზე ნაპირსამაგრი;
11. მდინარე კრიხულას ნაპირსამაგრი;
12. სოფელ იწაში საუბნო გზის საყრდენი კედლის მოწყობა;
13. ქ. ამბროლაურში ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი სახლის სახურავის რეაბილიტაცია.
14. ამბროლაური-ხიმშის გზისათვის ნაპირსამაგრის მოწუყობა
15. სოფელ ჟოშხაში საუბნო წყალსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
16. სოფელ სადმელში მესხაძეების სახლთან საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები;
17. სოფელ ჟოშხაში ჯანხოთელების საკარმიდამო ნაკვეთთან სანიაღვრე არხების მოწყობა.

სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებზე გამოყოფილი თანხებით დაფინანსებული იქნა 17 ობიექტი. საიდანაც 5 პროექტი გარდამავალი იყო, 9 პროექტი სრულად დასრულდა, ხოლო 3 პროექტის სამუშაოები კლიმატური პირობების გამო გადატანილი იქნა 2025 წლისათვის.

მთის განვითარების ფონდი

2024 წელს მიმდინარეობდა მთის განვითარების ფონდიდან დაფინანსებული 3 პროექტი, რომელთაგანაც 2 გარდამავალი იყო. 2024 წელს ამ პროექტებზე გამოყოფილი იქნა 1 072 316 ლარი.

ეს პროექტებია:

1. იწის სასოფლო გზის რეაბილიტაცია, დაიწყო 2023 წელს და დასრულდა 2024 წელს.
2. სანიაღვრე არხები ქალაქ ამბროლაურში და სოფლებში, რომელიც დასრულებულია
3. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შხივანის სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები, 2024 წელს შესრულდა 546000 ლარის სამუშაოები, პროექტის დასრულება დაგეგმილია 2025 წელს

მუნიციპალიტეტში ასევე მიმდინარეობს **მუნიციპალური განვითარების ფონდის** მიერ დაფინანსებული პროექტები:

1. სადმელის საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომელიც დასრულებულია- თანხით 1 278 333 ლარი
2. ქალაქ ამბროლაურში 200 აღსაზრდელზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა- თანხით 4 200 000 ლარი
3. ჭრებალოს საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია და ნიკორწმინდის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, ჯამურად 6 000 000 ლარი.

მუნიციპალიტეტში დასრულების ეტაპზეა ამბროლაურის N2 და ლიხეთის საჯარო სკოლების სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები, ორივე სკოლის სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ '' Design-Build'' –მეთოდით, რომელთა ჯამური ღირებულებაც 8 000 000 ლარს შეადგენს.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფის ხელშეწყობა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი მოსახლეობის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის ხელშეწყობაა. სფეროს დაფინანსების მიზნით 2024 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო 991 310 ლარი, დაფინანსდა 16 სოციალური და 5 სამედიცინო მომსახურების ქვეპროგრამა.

სოციალური პროგრამის ფარგლებში 2024 წელს 990 ბენეფიციარზე სულ გაცემულია 619 542 ლარი.

- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება (მომსახურებით ისარგებლა 24-მა ბენეფიციარმა, გახარჯულია 30 370 ლარი);
- 10 001 - მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების საახალწლო და სააღდგომო პაკეტით უზრუნველყოფა (151 ბენეფიციარზე დაიხარჯა 11 608 ლარი);
- ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება (63 ოჯახზე გაცემულია 32 700 ლარი);
- ახლადშექმნილი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება (9 ახლადშექმნილ ოჯახზე გაცემულია 9 000 ლარი);
- უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების ქვეპროგრამიდან გაცემულია 250 ლარი;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება (23 ბავშვზე გაცემულია 24 900 ლარი);
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ზრუნვის ხელშეწყობა (58 პირზე გაცემულია 66 700 ლარი);
- „დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის" სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა დახმარება (18 ბენეფიციარზე გაცემულია 38 400 ლარი);
- ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფინანსური დახმარება (6 ოჯახზე გაცემულია 86 272 ლარი);
- სამი და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვიან ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება (144 მრავალშვილიან ოჯახზე გაცემულია 82 200 ლარი);
- მარჩენალდაკარგული ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება (36 ოჯახზე გაცემულია 21 800 ლარი);
- უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელი ბინის ყოველთვიური ქირით უზრუნველყოფა (17 ოჯახზე გაცემულია 45 400 ლარი);
- მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფულადი დახმარება (22 მარტოხელა მშობელზე გაიცა 6 600 ლარი);
- ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ერთჯერადი ფულადი დახმარება (ომისა და სამხედრო ძალების 117ვეტერანზე გაცემულია 23 400 ლარი);
- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ზამთრის თბობისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება. (უზრუნველყოფილია 276 ოჯახი, რომლისთვისაც დაიხარჯა 82 800 ლარი); 6

აღსანიშნავია, რომ 2024 წელს მუნიციპალიტეტმა მნიშვნელოვანი სოციალური ინიციატივა დაიწყო – უსახლკარო ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის პროგრამა. ეს პროგრამა მიზნად ისახავს იმ ოჯახების მხარდაჭერას, რომლებიც განსაკუთრებით მძიმე საცხოვრებელ პირობებში იმყოფებიან. პირველ ეტაპზე, 2024 წელს პროგრამის განხორციელებისთვის 100 000 ლარი გამოიყო, რაც ორი ოჯახისათვის ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობას ითვალისწინებდა. აღნიშნული პროექტი განსაკუთრებული სოციალური მნიშვნელობისაა, რადგან ის უზრუნველყოფს ყველაზე მოწყვლადი ოჯახების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას და მათთვის სტაბილური საცხოვრებელი გარემოს შექმნას. პროგრამა 2025 წელსაც გაგრძელდება და კიდევ ორი ოჯახი იქნება უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ფართით. ეს ინიციატივა გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვან სოციალურ ეფექტს მოახდენს, ხელს შეუწყობს სოციალურ თანასწორობას და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს წითელი ჯვრის ერთობლივი დაფინანსების ფარგლებში ხორციელდება ,,პროფესიული შინ მოვლის პროგრამა“, რომელიც გულისხმობს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ხანდაზმული პირების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მათ სოციალურ და სამედიცინო მომსახურებას ადგილზე. ამ ეტაპზე პროგრამაში ჩართულია 120 ბენეფიციარი.

აღნიშნული პროგრამების გარდა, მუნიციპალიტეტი თანადაფინანსებას უწევს შშმ და სსმ პირთა დღის ცენტრს ,,ბაო“ და სადმელის მრავალფუნქციურ ცენტრს.

მუნიციპალიტეტში მოქმედებს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვებისთვის 500 ლარით დახმარებას ითვალისწინებს, 2024 წლის განმავლობაში ბავშვების დასახმარებლად ბიუჯეტიდან გაიცა 58 500 ლარი, აქედან სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ 103 ბავშვზე გაიცა 51 500 ლარი, ხოლო კრიზისში მყოფი 5 ოჯახის დასახმარებლად გაიცა 7 000 ლარი.

2024 წელს სამედიცინო მომსახურება გაეწია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 433 ბენეფიციარს, გაცემული თანხა კი შეადგენს 300 500 ლარს.

- ხანგრძლივად მოავადე პაციენტთა სამედიცინო მომსახურების ქვეპროგრამა (ისარგებლა 95 ბენეფიციარმა)
- ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტთა დაფინანსების/თანადაფინანსების ქვეპროგრამა (მომსახურება გაეწია 122 ბენეფიციარს)
- ამბულატორიულ - მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურება (კვლევები ჩაუტარდა 103 ბენეფიციარს)
- ქირურგიული ოპერაციის საჭიროების მქონე პაციენტთა თანადაფინანსების პროგრამით ისარგებლა 113-მა ბენეფიციარმა

მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი მუდმივად ცდილობს არსებული პროგრამების გაუმჯობესებასა და მათ განვითარებას, რათა მეტად ეფექტურად უპასუხოს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნებს. ყოველწლიურად ხორციელდება ანალიზი, თუ როგორ შეიძლება პროგრამების გაფართოება და დახვეწა, რათა უფრო მეტმა მიზნობრივმა ჯგუფმა მიიღოს მათთვის საჭირო დახმარება და მხარდაჭერა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სხვადასხვა სოციალური კატეგორიის ინტერესებს—მათ შორის, სოციალურად დაუცველ პირებს, მრავალშვილიან ოჯახებს, ხანდაზმულებს, ახალგაზრდებსა და შშმ პირებს. ამ მიდგომის საშუალებით, მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს, რომ ყველა მოქალაქეს ჰქონდეს თანაბარი

შესაძლებლობები და ხელი შეეწყოს მათი საცხოვრებელი პირობების, განათლების, დასაქმებისა და ჯანმრთელობის ხარისხის გაუმჯობესებას.

გრძელვადიანი ხედვის ფარგლებში, ჩვენი მიზანია არა მხოლოდ არსებული პროგრამების ოპტიმიზაცია, არამედ ახალი, ინოვაციური პროექტების დანერგვა, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონეს კიდევ უფრო გააუმჯობესებს.

კულტურული, საგანმანათლებლო, სპორტული, ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება

აღნიშნული სფეროების დასაფინანსებლად 2024 წელს გამოიყო 6 449 206 ლარი. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსება გათვალისწინებული იქნა 10 არასამეწარმეო იურიდიული პირისთვის, რომელიც ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში შესაბამისი სფეროების განვითარებას. მუნიციპალური პროგრამების დასაფინანსებლად 2024 წლის ბიუჯეტი შეადგენდა - 266 715 ლარს.

2024 წელს განხორციელლდა შემდეგი ღონისძიებები:

- **ფულადი ჯილდოები** - საჯარო სკოლის 7 ოქროსა და 2 ვერცხლის მედალოსანს გადაეცა ფულადი ჯილდო ჯამში 4 100 ლარი; დაფინანსდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 9 პირველი კურსის სოციალურად დაუცველი სტუდენტის სწავლის საფასური - 20 250 ლარი; კულტურისა და სპორტის სფეროში საპატიო წოდება მიენიჭა და ფულადი ჯილდო გაიცა 28 პირზე ჯამში - 41 300 ლარი. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების სოციალურად დაუცველ, წარჩინებულ 6 მოსწავლეს გადაეცა პორტატული კომპიუტერი. (ღირებულება - 10 800 ლარი);

- **ღონისძიებები** - განხორციელდა საგანმანათლებლო პორტალი ,,izrune.ge" და პროექტ „ეტალონის" მომსახურების შესყიდვა.

  გაიმართა 26 მაისის ღონისძიება, ჩატარდა და აღინიშნა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეთა საზაფხულო ბანაკის პროგრამის განხორციელება 20 ბენეფიციარისთვის - საერთო ღირებულება - 24 036; ვეტერანების დღის ღონისძიება, განხორციელდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის მუნიციპალური და რეგიონალური თამაშების ორგანიზება და ჩატარება, ცენტრალური ბიბლიოთეკის წიგნის ფონდის ოპტიმიზაცია, ახალგაზრდული სივრცის კეთილმოწყობის მიზნით შეძენილ იქნა ინვენტარი და კომპიუტერული ტექნიკა.

- **ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ასევე ხორციელდება მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა,**

  რომელშიც დღეის მდომარეობით ჩართულია 16 სკოლის 229 მოსწავლე, მომსახურება ხორციელდება 82 მარშრუტზე (სერვისს უზრუნველყოფს 31 სატრანსპორტო საშუალება). აღნიშნული მიმართულებით 2024 წლის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მთლიანი თანხა შეადგენდა 340 572 ლარს.

მუნიციპალიტეტის მმართველობა და სერვისების ხელმისაწვდომობა

ელექტრონულ სისტემაში არსებულმა დოკუმენტების რაოდენობამ შეადგინა 26 269, კანცელარიაში შემოსული განცხადება/ მომართვა 9 530, გასული დოკუმენტი 2 257, ინდივიდუალურ

ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი ბრძანება 4 594, შიდა დოკუმენტი (მოხსენებითი ბარათი, სამსახურეობრივი ბარათი, სამსახურეობრივი აქტი) 5 260 .

შესაბამისი მომართვის საფუძველზე 30 ობიექტებზე (II-III კლასი) გაიცა სამშენებლო ნებართვა, ასევე 85 პირველი კლასის ობიექტზე შეთანხმდა სამშენებლო პირობები. აღნიშნულ პერიოდში ექსპლოატაციაში მიღებული არის 24 ობიექტი. მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის სახით შემოსულმა თანხამ აღნიშნულ პერიოდში შეადგინა 60 760ლარი.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ გაიცა 131 საჯარო ინფორმაცია, მომზადდა 975 ცნობა, მომზადდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13 დადგენილებისა და 30 განკარგულების პროექტი. მოსამსახურეთა ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების ორგანიზების მიზნით საჯარო სამსახურის ბიუროს ოფიციალურ გვერდზე გამოაცხადა 9 ღია და 1 დახურული კონკურსი.

2024 წელს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიამ 6 სტაჟიორი მიიღო, რომლებმაც მერიის სხვადასხვა სამსახურებში 4-თვიანი ანაზღაურებადი სტაჟირება გაიარეს. ეს პროგრამა ხელს უწყობს ახალგაზრდების პროფესიულ განვითარებას, მათთვის პრაქტიკული სამუშაო გამოცდილების შეძენასა და ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში ჩართვას.

სტაჟირების პროცესში მონაწილეები უშუალოდ გაეცნენ ადმინისტრაციულ პროცესებს, საზოგადოებრივ პროექტებსა და მუნიციპალური სამსახურის ფუნქციონირებას, რაც მათი კარიერული ზრდისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდა. ინიციატივა არა მხოლოდ აძლიერებს ახალგაზრდების დასაქმების შესაძლებლობებს, არამედ ხელს უწყობს კვალიფიციური კადრების მომზადებას და ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის გაძლიერებას.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში დასუფთავების მოსაკრებლის ელექტრონული პროგრამა აქტიურად ფუნქციონირებს, რაც მოსახლეობას საშუალებას აძლევს, მოსაკრებლის შესახებ ინფორმაცია მოკლე ტექსტური შეტყობინებით მიიღოს და გადახდები მარტივად, ნებისმიერი საგადახდო არხის მეშვეობით განახორციელოს. გადახდის ხელმისაწვდომი საშუალებები მოიცავს მობაილ ბანკს, ინტერნეტ ბანკს, სწრაფი ჩარიცხვის აპარატებსა და მობილურ აპლიკაციებს. 2024 წელს პროგრამის ეფექტიანობამ დადებითი შედეგი აჩვენა—დასუფთავების მოსაკრებლიდან მიღებული შემოსავალი 52,495 ლარს შეადგენს, რაც 1,995 ლარით აღემატება გეგმით გათვალისწინებულ 50,500 ლარს. აღნიშნული სისტემა ხელს უწყობს ფინანსური პროცესების გამჭვირვალობას და მოქალაქეებისთვის კომუნალური მომსახურების უფრო მოქნილად მიღებას.

2024 წელს ქალაქ ამბროლაურში ამოქმედდა საზოგადოებრივი ტრანსპორტი,მოსახლეობას შესაძლებლობა აქვს, კომფორტულად და ხელმისაწვდომ ფასად - 50 თეთრად, გადაადგილდნენ ქალაქის სხვადასხვა მიმართულებით (შეღავათით სარგებლობენ სოციალურად დაუცველი პირები, საბავშვო ბაღის აღსაზრდელები და სკოლის მოსწავლეები).

დელეგირებული უფლებამოსილებები

2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მიღების მიზნით მერიას მომართა 261 მოქალაქემ. სტატუსი მიენიჭა 236 მოქალაქეს. სტატუსის აღდგენის მიზნით მომართა 15-მა მოქალაქემ, მათი საკითხი გადაწყდა დადებითად. წლის განმავლობაში მონიტორინგი ჩაუტარდა 2 757 პირს, რის საფუძველზეც სტატუსი შეუწყდა 264 პირს. აქედან: 220 -ს სტატუსი შეუწყდა რეესტრის დავალების საფუძველზე, არ ცხოვრების მიზეზით 44 -ს, ხოლო 11 მოქალაქეს მისამართის ცვლილების გამო. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსს ფლობს 8 391 მოქალაქე.

გამჭირვალობა და ანგარიშვალდებულება

ამბროლაურის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერება. ამ მიმართულებით მერია აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა მნიშვნელოვან პროექტში. 2024-2025 წლებისთვის დამტკიცდა გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანია მმართველობითი სისტემის გაუმჯობესება, მაღალი სტანდარტების დანერგვა და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის ზრდა. გეგმის წარმატებული განხორციელებით, მერია დროულად უპასუხებს გამოწვევებს და განახორციელებს რეფორმებს, რომლებიც საზოგადოებრივი კეთილდღეობის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

მოქალაქეთა ინფორმირებულობისა და ჩართულობისთვის აქტიურად ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდი (www.ambrolauri.gov.ge), რომელიც მაქსიმალურად მობილურია და მოქალაქეებს საჭირო ინფორმაციაზე სწრაფ და გამჭვირვალე წვდომას აძლევს. გვერდზე პროაქტიულად ქვეყნდება მონაცემები მუნიციპალური ბიუჯეტის, შესყიდვების, ქონების, აუქციონების, ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ.

ვებ.გვერდის მეშვეობით მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა, წერილით მიმართონ მუნიციპალიტეტის მერსა და საკრებულოს თავმჯდომარეს, დაარეგისტრირონ პეტიცია, წარმოადგინონ ინიციატივები და მოგვაწოდონ ინფორმაცია სხვადასხვა საკითხზე. ეს ინიციატივები ხელს უწყობს საჯარო მმართველობის გამჭვირვალობას და მოქალაქეთა აქტიურ მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესებში.

მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით მუნიციპალიტეტში მოქმედებს ისეთი საბჭოები როგორიცაა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საბჭო, მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო და სოციალური მრჩეველთა საბჭო.

2025-2028 წლების პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უზრუნველყო მოსახლეობის ჩართულობა და საჭიროებების იდენტიფიცირება. ამ პროცესის ფარგლებში: • სოციალური ქსელების საშუალებით გააქტიურდა მოსახლეობის გამოკითხვა, რაც დაეხმარა საჭიროებების უკეთ განსაზღვრას. • გამოვლენილი პრიორიტეტების საფუძველზე შემუშავდა საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა. • გამოკითხვის შედეგები სრულად აისახა 2025 წლის ბიუჯეტის დაგეგმვაში, რათა მაქსიმალურად გაეთვალისწინებინა მოსახლეობის ინტერესები. • შემუშავდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მოქალაქეთა გზამკვლევი, რომელიც მარტივად და გასაგებად განმარტავს ბიუჯეტთან დაკავშირებულ საკითხებს. • ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი და მასთან დაკავშირებული პროგრამები დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ. • ბიუჯეტი სრულად გამოქვეყნდა საკანონმდებლო მაცნესა და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

გარდა ზემოთაღნიშნულისა, მუნიციპალიტეტი აქტიურად გეგმავს არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებს უპასუხებს.

ჩვენთვის უმთავრესი პრიორიტეტი მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა და მათი აქტიური მონაწილეობაა ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესებში. საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა აუცილებელია მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის, ამიტომ გავაგრძელებთ უკვე არსებულ პროგრამებს და შევქმნით ახალ ინიციატივებს, რომლებიც გააუმჯობესებს მოსახლეობის ხელმისაწვდომობას როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო სერვისებზე.

მოსახლეობის კეთილდღეობა ყოველთვის იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ჩვენ ვცდილობთ, ყველა გადაწყვეტილება მივიღოთ მოსახლეობის ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. ამ გზაზე თქვენი მხარდაჭერა და ჩართულობა ჩვენთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. მინდა გულწრფელი მადლობა გადაგიხადოთ თითოეულ თქვენგანს თანამშრომლობისთვის, ნდობისთვის და აქტიური მონაწილეობისთვის. თქვენი იდეები, მოსაზრებები და ინიციატივები გვაძლევს ძალას, რომ ვიმუშაოთ უკეთესი მომავლის შექმნისთვის.

გმადლობთ ყურადღებისთვის!